



ՀԱՅԿԵՍՏԱՆԻ
ՆՈՒՆՈՒՄՆԵՐ
1988 թ. 10-11 համար N 9

ყმაწვილი უწდა სწავლობდეს
საცნობცად თაკოსადაო,
კინ არი, სიღამ მოსუცა,
სად არი, წაჟუ სადაო...

გზის ოსსობოხი

ჩვენი პატარა მემობარო!

ერის, ქვეყნის და მშობლების უსაყვარლესო საფიცარო ხატო — ჩვენი მომავლო იმედო.

დღეს შენ პირველად შედგი ფეხი სკოლაში, სადაც უნდა დაეუფლო ცოდნის საფუძვლებს, მთელი არსით შეიყვარო შენი «მშობლური, ტკბილი, მოწყალე» ქვეყანა, შეითვისო და შეისისლხორცო დედაენა — «ტკბილქართული», და შემდეგ აშენო მომავალი, აკეთო საშვილიშვილო საქმე, რომ პატიოსნად გაუსწორო თვალი წარსულს, აწმყოს, მერმისს... იცოდე, იმედით შემოგცქერის საქართველოს «თანამდევნი უკვდავი სული» — შოთა და ილია, დავით აღმაშენებელი და თამარ მეფე, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი, ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი და სხვანი და სხვანი, ვინც თავის დროზე პირნათლად მოიხადა ამქვეყნიური ვალი.

გახსოვდეს, დიდსა და ძნელსავალ გზას გილოცავენ ისინი, განათლებას, გონიერებას, სიკეთეს და ქვეყნის თავდაუზოგავ მსახურებას მოითხოვენ შენგან... კიდევ — მათ მიერ მიღწეულ სიმალღეთა დაპყრობას და დაულაშქრავ სიმალღეთა მიღწევას.

წარსული გამოძვრავს, აწმყო გეთაყვანება, ხოლო მომავალი გიხმობს დაქალღე და დავაჟკაცღე ჭეშმარიტ მამულიშვილად.

ნათელი გზით გველოს! სრულიად საქართველო გლოცავს!

სექტემბერი

დღე სექტემბრის შენაფერო
 ღუის ფურად შინდის,
 უკვლაფერი, უკვლაფერი
 სხსიკეთოდ მიდის.
 ინდი-მინდი, დილით ადრე,
 ადრე წამოფრინდი,
 რასაც ახლა დასთესავდე,
 იმას მოიპედი.
 ინდი-მინდი, მიდი, მიდი,
 მხოლოდ წიგნით, წიგნით,
 ვახსენ გული, მეგობარი
 ჩახსდე შიგნით.
 ქვეყნის მშვენიერი დილა
 უნდა გაათუნო,
 შეუნახე დეღანა
 დედსაქართველოს!



თეზიზ ჩალაური

ზარმასი ბაჭია

(ანუ სნაპლა სინათლა)

ბებია კურდღელმა ბაბაღემ ბაჭია
 ცუნცულა დილაადრიან გააღვიძა.

— ადექი, შემოგვედე, — თივთიკი-
 ვით ფაფუკი თათით მოეფერა, — სკოლა-
 ში არ დაგაგვიანდეს.

— სკოლაში? — გაიოცა ცუნცულამ
 და თვალები მჭიდებით მოისრისა, — გუ-
 შინ იქ არ ვიყავი?!

ბებიას გაეცინა, სათვალეებს ზემო-
 დან გაღმობხედა.

— აი, შე ცუღლუტო, — დაუტატა-
 ნა, — განა არ იცი, რომ სკოლაში ყოველ
 დღეცისმარ უნდა იარო?!

ცუნცულამ ყურები დაქვიცია.

— რატომ?

— იმიტომ, ჩემო პატარავ, რომ სწავ-
 ლა სინათლეა, უსწავლელობა კი — სიბ-
 ნეღე!

ბაჭიამ საბნის ქვეშიდან თათები ამო-
 აძვრინა და ნება-ნება გაიზმორა, ძალიან

ქაქ. სსრ კ. მარქსის
 სსკ, სსხ. რეპუბ.
 ბრუნდის-სიმაქ



ეზარებოდა სკოლაში წახვლა.

— ბებიო, ბებიო, — ამოიკვნესა საწყალობლად, — რომ იცოდე, როგორ მტკივა კბილი!

ბებია ბაბაღეს წყენა დაეტყო.

— ჰაი, შე ცანცარავ, — თითის ქნევით გაუწყრა, — ასეთი სიცრუე რამ გათქმევინა, ჩვენ, კურდღლებმა, კბილების ტკივილი რომ არ ვიცით?

ცუნცულას საქციელი წაუხდა.

— თათი მტკივა, ბები, — საცოდავად აწუწუნდა, — წუხელის ჭინჭარმა დამსუსხა.

ახლა კი მართლა გაბრაზდა ბებია, მთლად გაუწითლდა თვალები.

— მე შენ გიჩვენებ... — დაქაღნა, — თუ ასეთი ავადმყოფი ხარ, ნუ წახვალ, მაგრამ საწოლიდან წამომდგარი რომ გნახო, იცოდე, ტყავს გაგაძრობ!

ცუნცულას გუნებაში გაეცინა, „მეც

ეგ მინდა“ — გაიფიქრა, მაგრამ, თითქოს მის ჰიბრზე, ისეთი მშვენიერი ამინდი იდგა, უკეთესი არ იქნებოდა, ჰოდა, მოთმინებამ უმტყუნა, წამოხტა და პირდაპირ ფანჯრიდან ისკუპა ბაღში.

მიკუნტრუშობს გახარებული და მთელი ხმით გაჰკივის:

ჰერი-ჰერი, ჰერი-ჰერი,
ამინდია მშვენიერი,
რად მჭირდება ნეტავ სწავლა,
მოვდივარ და მოვიმდგერი.

„ჩემს ძმაც დათუჩას ხომ არ მივკითხო?“ — გაიფიქრა მერე და დათვების სადგომისაკენ გასწია.

ბუნავის წინ დეიდა დარიკო დაინახა, სახეზე პირბადეფარებული სკიდან ფიჭას იღებდა.

— დათუჩა სახლშია? — შორიდან გასძახა ცუნცულამ.

— რაო? — გაიკვირვა დეიდა დარიკომ, — ჩემს დათუჩას ამ დროს სახლში რა უნდა, სკოლაშია, დღეს ორჯერ ორი რამდენია, იმას სწავლობს, შენ რატომ აცდენ მეცადინეობას?

ცუნცულამ გაქცევით უშველა თავს. მიდის და მიიმდგურის:

სკოლაში რა გამაჩქერებს,
ნედავთ, რა ამინდია,
ორჯერ ორს რა ცოდნა უნდა,
კარგად ვიცი, — შვიდია.

— ვინ მდგრის ასეთ სისულელეს?! — მოესმა ვიღაცის უკმაყოფილო წრიბინი, და მის ფეხებთან მიწა ამოიბურცა, იქიდან მისი თანაკლასელი თხუნელას მამამ, ბიძია ნიჩაბამ ამოჰყო თავი და დაბლვერილმა ჰკითხა: — ეს შენ ამტკიცებ, ორჯერ ორი შვიდიაო? თუ მაგ ცოდნა-განათლებით იარე ქვეყნად, ჩემზე უარეს სიბნელეში მოგიწევს ცხოვრება.

— რა გული გამიწყალეს, — გაწყრა ცუნცულა, — დაუჩინაო, სიბნელე და სიბნელეო... ვითომ სინათლე რითია უკე-

თესი?!

ამ ფიქრებში გართულმა ვერც კი შე-
ნიშნა, როგორ მიადგა ერთ ღრმა ხევის, და
თავდაყირა გადაეშვა შიგ.

გონს მოსვლაც ვერ მოახწრო, რომ
საშინელი ყმუილი და ღრიალი შემოესმა,
თვალი გაახილა და ხედავს, თავზე ერთი
გაძვალტყავებული მგელი წამოსდგომია.

— ვინ ოხერი გდიხარ, სიმშვიდეს რომ
მიფრთხობ? — უბები დააკაკაბა მგელ-
მა, — ან რას დაეთრევი ასე უპატრონოდ
აღმა-დაღმა?!

ცუნცულას მუხლები აუცახცახდა.

— ბიძია, სკოლაში მიმჩქარებოდა,
ფეხი დამისხლტა და თქვენთან ჩამოვვარ-
დი! — რას გაწვალებენ ნეტავი ამ თითის-
ტოლა ბაღს, მაინც რას გასწავლიან?

— ათას რამეს, — გაუთამამდა ცუნ-
ცულა, — ორჯერ ორი რამდენიაო, კიდევ
ცოდნა სინათლეაო, მაგასაც კიდევ...

— გეუფოვა, გეუფოვა! — შეაწყვეტინა
მგელმა და უკანა ფეხით ქეჩო მოიქეპა, —
დავბერდი კაცი და მაგდენი მეც არ ვიცი.

— როგორ, — დაინტერესდა ცუნცუ-
ლა, — სკოლაში არ გივლიათ?

— აუუ... — ყმუილი მორთო მგელ-
მა, — არც მივლია და არც მისწავლია,
ჰოდა ხომ ხედავ, რა დღეშიცა ვარ, —
უთხრა და წინა თათებზე შემოსაღტული
ბორკილი უჩვენა; — ჩემი უტოლინარო-
ბით აგერ ხაფანგში გავები. ყველას დასა-
ცინი და გასამასხარებელი შევიქენი,
მულტფილმებს უყურებ ალბათ, „აბა და-
მაცადე!“ ხომ გახსოვს? სირცხვილით
ცხვირი ვეღარ გამომიყვია საზოგადოე-
ბაში.

ცუნცულას ძალიან შეეცოდა გაძ-
ვალტყავებული და გასაჭირში ჩავარდნი-
ლი მგელი.

— ნუ გეშინია, ბიძია, — გამხნეება
სცადა, — ხვალიდან აუცილებლად ვივ-
ლი სკოლაში, ყველაფერს ვისწავლი, იმა-
საც გავიგებ, როგორ იხსნება ხაფანგი, მო-

ვალ და გაგანთავისუფლებ.

— ვაი, ჩემს თავს უბედურს, ბაჭიას
საშველადაც გამიხდა საქმე... — ამოიხ-
რიალა მგელმა, — მაინც მადლობელი
ვარ შენი, — უთხრა ცუნცულას, — ახლა
წადი, ბიძიკო, წადი და ისწავლე.

გულმოკლული ცუნცულა მგელს გა-
შორდა და ჩაფიქრებულმა შინისაკენ გას-
წია, გზად ყველაფერი გაახსენდა და მე-
ტისმეტად შერცხვა თავისი საქციელის.

შეფოთებული ბებიი ბაბაღე ეწოში
დახვდა, გარს მეზობლები შემოხვეოდნენ
და აწყნარებდნენ.

— ბებიკო, ბებიკო! — შეჰყვირა
ცუნცულამ, გაიქცა და ბაბაღეს გულში
ჩაეხუტა, — არ გამიწურე. გეფიცები,
ალარასოდეს ვიცრუებ, ალარც სკოლას
გავცადენ და გულმოდგინედ ვიმეცადი-
ნებ, რადგან დღეს კარგად გავიგე, რომ
სწავლა და ცოდნა მართლაც სინათლეა
და ყველასათვის საჭიროა.



ხუთოსანი


გადიოდა კუჭბალია
 სტომა-ფრენის კურსებს,
 დაასრულა, უხარია,
 და ნიშნების ფურცელს
 მიაქროლებს, მიდის სასლში, —
 ჰერი, ბიჭო, ვაძა!
 მსე იცინის ძაღლა ცაში
 დიდი, ფურკამკაძა!
 „ხუთი — ფრენა“,
 „ხუთი — სტომა“,
 „ხუთი — ასკინეილა“,
 აი, ვინ არის დედის ღზენა,
 ვის ვთვლით ნამდვილ შვილად!
 მთელი მოდგმა ასასკელა,
 განა განაწილა!
 შემოსცინეს ევაწილებმაც
 სიუვარულით, ტკბილად.
 დიდილო სთხოვს:
 — აბა, ფრინდი,
 ერთი კონტა სკუპი,
 ბილილებში ჩამოფრინდი,
 ცვარი შესვი ელუპი.
 ვისაუბროთ, თუ გზაღია,
 — სხვა დროს იუოს, ვჩქარობ,
 ჯერ დედიკო კუჭბალისა
 უნდა მივხანრო!



ზაალ ევანოიძე

უსნაური ბურთი

დათოს ბურთი მოუტანეს
 ათასფერად ელვარე,
 ბურთზე ნახვე აღწების თუ
 კავკასიის მწვერვალებს,
 ევროპას და ამერიკას,
 აფრიკას და ზზიას,
 მკელა ამას გაიძახის:
 — დედა, რა ღამაზია.
 მავრამ დათო არ ერევა
 იმთ ეუხან-დავამი,
 ფიქრობს, — არ გამიგონია
 დედამიწით თამაში.



წამბახებს გაზაფხული უყვართ

თბილისში, სვანეთის უბანში ცხოვრობს პატარა გოგონა ანუკა. ეს მხარე მალ-მალზეა გაშენებული და ბევრგან ეწოები დატერასებულია. დატერასება კი იმას ჰქვია, დამრეც ფერდობს რომ ქვიტიკირით ან ცემენტით შეაკავებენ, მიწას გაანოყიერებენ და რაც გინდა დარგე და დათესე, არ ჩამორეცხავს წვიმა. ანუკასაც ასეთი ეწო აქვს. იქ გაზაფხულზე რომ წამბახები გადოიფურჩქნებიან, გეგონებათ, მელნის ტბორი დგასო. წამბახი დამათრობელ სურნელს აფრქვევს და ბავშვებს მაგნიტივით იზიდავს. ანას ცისფერი თვალები აქვს. მაგრამ წამბახებს მიუახლოვდება თუ არა, მელანივით გაულურჯდება.

— შეხედეთ! შეხედეთ! — ამბობს ბებია, — როგორ გაულურჯეს წამბახებმა ანას თვალები.

— აბა! აბა! — შემოხედავს ღიმილით დედა.

— საოცარია! — ამბობს მამა, — ვინც ზღვის სანაპიროზე ცხოვრობს, როგორც წესი, ზღვისფერი, ანუ მომწვანო-მოცისფრო თვალებით გამოირჩევა. თურმე ადამიანებს რისი დანახვაც ხშირად უხდებათ, თვალებიც იმ ფერისა აქვთ.

— რა კარგია! — ტაში შემოპკრა ანუკამ, — მე თუ გამუდმებით წამბახის ყურებაში ვიქნები, მისი ფერის თვალები მექნება?

— ოჰ, ანუკა! — გაიცინეს დედა და ბებია, — წამბახი მხოლოდ ზაფხულზე ყვავის, აბა ასე ცოტა ხნით ყურება რას შესძენს შენს თვალებს!?

— რატომ? თუ თბილად გადმოვიტანთ, ხომ შეიძლება წამთარშიც იყვავილოს? — აჰყვა ქალების ხუმრობას მამა.

— ჰო, ოთანში სითბოს რომ იგრძნობს, ეგონება ზაფხულიაო, — თქვა დედა.

— უჰ, არა! არა! — წამოიძახა ანუკამ.

— რატომ, ბებო გენაცვალოს? — გაუკვირდა ბებია.


— იმიტომ, რომ წამბახებს ვერ მოვატყუებთ.

— ჰოოო! — ჭერ ერთმანეთს გადახედეს დედა და მამამ, მერე ორივემ — ბებიას, და ახლა სამივე ანუკას მიაჩერდა. იმან კიდეც, იმ მოცუტქნულმა, აი რა თქვა:

— ერთიც ვნახოთ, მართლაც იყვავილეს წამბახებმა ოთანში. უცებ გაიხედეს და გარეთ თოვლია, არც ნიავია, არც ჭიამაიები, აღარც პეპლები, და არც მეწობელი ტყემლები... აჰ! არა, არა! ვერ მოვატყუებ წამბახებს... — თქვა ანუკიმ და წამბახებს ნაზად გადაუსვა ხელი, გეგონებოდათ, ეშინია, არ გაფრინდნენო.

მამამ ველარ მოითმინა, ხელში აიტაცა და ჰაერში აისროლა ერთხელ, ორჯერ, სამჯერ... ასე იციან მამებმა, როცა შვილები ძალიან, ძალიან გაახარებენ.





პარლო კომპარიძე

წყალი არის ცხოველი

მშვიერი უფრო დიდხანს ძლებს ადამიანს, ვიდრე მწყურვალი. საერთოდ, ვერც ერთი სულიერი ვერ ცოცხლობს უწყლოდ, ვერც სულიერი და ვერც უსულო — მცენარე. გვაღვებს რომ დაიჭვრეს ხოლმე, ანუ კარგა ხანს რომ არ მიღის წვიმა, მცენარეს ზრდა უჩერდება, აღარც ნაყოფს იმწიფებს; ამიტომ ვეშველეუბით ხოლმე — ვრწყავთ.

ჩვენც ცხოვრების ერთ დღეს თუ გავადევნებთ თვალს, ადვილად მივხვდებით, რამდენი წყალი გვჭირდება: ვსვამთ, საჭმელს ვაკეთებთ, ვბანაობთ, ხელ-პირს ვიბანთ, ეს ჭურჭლის რეცხვაო, ეს სარეცხიო... რა გამახსენებს ყველაფერს ანდა რა მათქმევენებს!

საქართველო მთაგორიანი ქვეყანაა და წყალიც ბევრი გვაქვს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, უყვართოდ მოვექცეთ — დაუდევრად ვზარჯით. გამოუღვეველ არაფერია ამ ქვეყანაზე და, რა გასაკვირია, ოდესმე ჩვენც დაგვაკლდეს წყალი. დაკლება მართლ დაცოტავება არ გვეწონთ: წყალს რომ ისე გავაჭუჭვიანებთ, დასაღვეად აღარ ივარგებს, ვსეც დაკლებას, დაცოტავებას ნიშნავს. ამაზეა ნათქვამი, ვინდ გქონია და ვინდ არაო.


არის ისეთი ქვეყნები, კერძოდ აფრიკაში, სადაც ძალიან, ძალიან უჭირთ სასმელი წყალი, ამიტომ ვეროპიდან შეაქვთ ვემებით და, როგორც ამბობენ, ერთხელ რომ მიიკლა წყურვილი, თურმე ისიც ძვირი ღირს. მოკლედ, ცოტას — თავისთავად და, ბევრსაც გაფრთხილება უნდა. ბევრს თუ არ გავუფრთხილებით, თანდათან, თითქოს შეუმჩნევლად, შემოგვეღვევა — დაგვიცოტავდება.

წყალი ზოგადი ცნებაა. წყალია ოკეანეც, ზღვაც, ტბაც, მდინარეც, ლეღიც, გუბეც, პოო, გუბეც, ის გუბეც, ბაყაყები რომ ეტანებიან და ნებივრობენ შიგ.

ჩვენ რომ წყალს ვსვამთ, მტკნარი

წყალი ჰქვია. ყველაზე გემრიელი წყაროს წყალია. არის კიდევ მლაშე წყარო, რომელსაც ვეძახს ვეძახით. მთასა და ტყეში ხშირად შეხვდებით ვეძას — გარეული ცხოველები სწორად ვეძას ვწაფებიან, მარილი აუცილებელია და იმიტომ. შინაურ პირუტყვს, ცხვარ-ძროხას კი, ალბათ იცით, მარილს ვაჭმევთ.

წყლის სიცოცხლე მოძრაობაა. ამიტომ არის, ადამიანები თუ არ გავაჭუჭვიანებთ, ყოველთვის სუფთაა მდინარე, ლეღი, ფშა, წყარო... რაღა თქმა უნდა, თუ წვიმამ, თოვლის ნაჟურმა, ქარმა და ქარიშხალმა არ ამოდვინა. უმოძრაობა კი წყლის სიბერეა, სიკვდილია. «დამდგარწყლიანი ადგილი დაბლობში» ანუ ჭაობი ანდა «ლია, ლია მპალი, საფლობი, ბლანტი, ჭანჭრობი...» გაფუჭებული, უფრო სწორად, დამპალი, ამყაყებული, სიმწვანეშოკიებული წყალია და ისეთი სუნი უდის, ისეა აშშორებული, კაცს მიახლოება უჭირს. დამდგარი წყალი ძალიან უყვარს ბაყაყს. გეცოდინებათ ხალხური ენის გასატყობი: «ბაყაყი მყაყე ჭაობში ბაყაყებს ბაყაყდევით». წყარო კი სულ სხვაა: ცოვი, გემრიელი, კამკამა — ცამოხანს შიგ! რა ლამაზად მოლიველებს ხოლმე ქვეებს შორის, ჩვენჭაში, ბურქებსა და ბალახებში! რამდენი სიმღერა და ლექსი ვიცით წყაროზე!





წყალი უნდა მოვიტანო,
 აშეღვენა ბატკანიც,
 თან შოთსა ვჭამთ, ისეთია,
 არ სჭირდება სატანი.
 წყაროს როცა მივაღვეით,
 მეც მომწეურდა ძალიან,
 ვიდრე ჰეშვით დაჟწვდებოდი, —
 ჯერ ბატკანმა დალია.
 მერე წყალში გაიარა
 და კიკინიც გაისმა,
 წყარო ისე აამღვრია,
 ფერი არ აქვს წყალისა.
 რა ჯანდაბა მომასვენებს,
 ჯავრი რომ არ ვიუარო, —
 სოკი მაშინ ამიძღვრიოს,
 როცა წამოვიყვანო!

წყართა ფშაც, იგივე ფშანი. აი, როგორ განმარტავს საბა პაპა: «მდინარისაგან წყართ, მუნვე (იქვე) გამომდინარი». მდინარეს ხვინჭიანი, ლამიანი, ქვა-ქვიშიანი კალაპოტი, სადინარი, წიაღი აქვს. წყლის ნაწილი ქვა-ქვიშაში, ხვინჭაში, ლამში ჩადის და იკარგება ერთხანს. მერე გამოჩნდება, მიწიდან გამოვა ისევ — ამას ჰქვია ფშა, ფშანი. წყართა ესეც, — გამჭვირვალე, გემრიელი,

წმინდა და კამკამა.
 წყართ ზოგჯერ გამოწანწკარებს კლდიდან, ტინებიდან, ზოგჯერ გამოლივლივებს, ზოგჯერ კიდევ მოუნავს — ამაზე ვამბობთ, გაშონაჟონიაო. თუ მიწიდან ბლმად ამოდის, ეს ბინულია — «წყართ მიწიდან ამონახეთი».

არის კიდევ ხელოვნური ზღვა, ხელოვნური ტბა, ტბორი, გუბურა. ტბორსა და გუბურაში თევზს მოაშენებენ ხოლმე. არის ხელოვნური არხიც — სანაოსნო და სარწყავი. საქართველოში სარწყავი არხები გვაქვს: სამგორის, ალაზნის, ტორფონის... სარწყავი არხიდან ბაღა-ბოსტნებში, ბაღ-ვენახებში, მინდვრებშიც შეგვყავს წყალი არხებით. ამათზე ვამბობთ — წიწილა არხიო.

ღრმა წყალი მორევიო, ანუ ადგილი, სადაც წყალი ტრიალებს; მარჩხი წყალი არის «თხელი წყალი მდინარეში, ტბაში, ზღვაში», იგივე თავთხელიო. მდინარეში გასასვლელ მარჩხ წყალს ცოცაბოზე გადმოედის», ჩანჩქერიო, წყალვარდნიო; უფრო პატარა — ჩახრილაო.

კიდევ ბევრია ისეთი სიტყვები, წყლის მოძრაობას, ნაირსახეობას, ფერს, გემოს და სხვასაც რომ გადმოსცემს. მაგრამ, ეჰ, ბებრდები უკვე, და ყველაფერი აღარ მახსენდება. იქნებ თქვენ გამახსენოთ?

გოგამი ბავადა

მთავარი გმირი
მისთვის

მეტი — მისი დახმებით

გვთქვა ვახტანგ გიგინიაშვილი 457-502 წ.
(1500 წლის წინ)

გვთქვამ, 100 ათასი მძიმე მებრძოლი
მხედარი და 40 ათასი მძიმე მხედარი
ვახტანგის ძალით.



წ. მეთექვსმეტე საუკუნეში
ქართველი იმპერატორი და მთავარი
ვახტანგ გიგინიაშვილი იმპერატორი.
ამ დროს ჩრდილოეთის მთა-
თახტაშვილი ტომებმა — ვახტანგმა და
მთავარმა ახალგაზრდა იმპერატორმა
სასწრაფო, ქართველი იმპერატორი
იმპერატორი, დაიბრუნა მთავრობა და
დაამტკიცა და ტყვეობით უარ
დაუბრუნა. ტყვეობა იმპერატორის იმპერატორის
მთავარი — მიხეილ-მთავარი.
თხუთმეტი წლის მძიმე და
ფეოდალური ბრძოლა
წინააღმდეგ.



გადავარდნა!

მეტი კახური მძიმე მხედარი
აქტიური მხედარი, ძლიერი და
დაუბრუნა.



მეტი! მთავარი კახური მთავარი
დაუბრუნა დაუბრუნა-
ხალი.





დაიბრუნა ხალი
დაუბრუნა!



მთავარი დაუბრუნა მთავარი!

დაიბრუნა მთავარი დაუბრუნა
დაუბრუნა დაუბრუნა-
დაუბრუნა.



ავთანდილ ყარაგვილი

აიცა, ბაიცა,
კურღელი გაიქცა...
სამი მუბრუნება:
დათვი, ძგელი, ძელა
გამოვენთეთ უკან,
არ ვუყოფა ლუკმად.

მისდევს, მისდევს დათვი,
მოიტყნა თათი;
მოსჩქეფს ცრემლის კამარა:
„დიდუ, რა დამემართა,
ცალი თათის ამარა
რა გაიტანს ამ ზამთარს...“

მეიძეულა გიო —
აღე, წამოდით.

დათვმა ბურტყუნ-ბურტყუნით
ამოღერდა, — ძამიკო,
წამოგვევები მერე,
თათს რომ მიძაკერებ
და კურღელის ურებს
თუ მომიცუნცულებ!“



მისდევს, მისდევს ძგელი,
გამოუმრა ველი;
ორი კვირის უჭმელი
უწანწალებს მუცელი;
აღარ შეუძლია,
ძალა აღარ ჰყოფნის...
სად იყო და სად არა,
გავარდება თოფი...
„ჩემო ოქროს ფესო,
ვაი, ფესო, ვაი,
კურღელს ვინდა ჩივა,
ვატეობ, მძვრება თავი“.

წამოადგა გიო, —
აღე, წამოდით.

— ვერ წამოვალ, ვერა, —
გადმოაგდო ენა: —
აღეი და მომკალი,
მომკალ, მომკალ ბარემ,
კუჭის ამოსაუორი
თუ არ მომიტანე!“

მისდევს, მისდევს ძელა, —
ღონე გამოელა;



თავბრუ ესმის, დასცხა,
ლაძის ჭიანჭველას;
უნდა დაეპრეტოს,
დრუნჩით მიწა გასხნას...
ლოძს ეძახდნენ ერთ დროს,
რადღა დარჩა ახლა...

„ვაი, ვაი, სირცხვილო,
რა დღეში ვარ, რა დღეში,
ტყავს გამხდიან და ჩემს სორცს
გადისვრიან ძაღლებში;
ვაი, ჩემო კუდ-ბეწვო,
ჩემო უჩინძანინო!

წაფხდი შენი ზატრონი,
აღარა ხარ საჭირო...
რა უბრალოდ გავები,
რა უბრალოს დავხარბდი,
ოქროს ვახურდავებდი,
რად მინდოდა ქალაღდი;
სად მივდევდი, სადა!
ამ ბრუციანს, უკუღოს...
სჯობდა, მომეცადა,
მომეხარშა მუსუღო;
დამივიწეებს სუეველა,
არ გაივლის კვირაც...“



მოსდის ცრემლის ლუგება,
დიდხანს იღვირღვილა.

„შე საბრალო მელია,
რად ხარ ჭკუთხელია!“ —
თავს წაადგა ვიო, —
აღე, წამოდიო.

მწვანედ გაშლილ მღვლოზე,
შორიასლო, ტეისპირზე,
ზის კურდღელი — გემოზე
ხითხითებს და ხითხითებს:
„ბიჭო, შენი გულისა,
ბიჭო, შენ გაიხარე,
ხომ მიგაგდეთ სიკვდილზე,
ვაშა, ჯავრი ვიყარე!“

როცა თბილის-ქალაქის
ცაზე შუქმა იალა,
ზოონარკის ჭიშკარი
ვიომ შეაჭრიალა;

მიჭეუებოდა ძანძალით,
ჩანჩალით და კვანჭალით
სამი მუტრუკელა:
ღათვი, ძეგლი, მელა.



ჯემალ ძირია

თაქო ღაიქარბა

— ნაბოჯი არსად გადადგა! — უთხრა დედამ თეკოს. — აი, აქ იდექი, მე მალაზიაში შევიბრუნე!

თეკო დამჯვრე გოგოა. თვითონაც უნდოდა და მალაზიაში შესვლა, მაგრამ რაკი დედამ უთხრა, ნაბოჯი არსად გადადგო, ვიტრინასთან დაელოდა. ვიტრინაში ჭრელ-ჭრელი ქსოვილები ელაგა და თეკომ ღიძხანს არჩია, ეს ნაჭერი მე მომიხდება, ის კი ჩემს თოჯინას. მერე მობეზრდა, საკუთარ ანარეკლს ენა გამოუყო და ვიტრინას ზურგი შეაქცია.

ქუნა საგზე იყო მანქანებით. ტროტუარზე საქმიანად მიდი-მოდითოდნენ უამრავი დეიდები და ბიძები. გზაჯვარედინზე შუქნიშანი ეკიდა. ანთებოდა წითელი შუქი და ყველა მანქანა ერთად დაამუხრუჭებდა, ფეხით მოსიარულენ კი სწრაფად გადადიოდნენ მეორე ტროტუარზე. ანთებოდა მწვანე შუქი და მანქანები ერთბაშად მოწყდებოდნენ ადგილს.

ყველა სადღაც გარბოდა. მარტო თეკოს არ ეჩქარებოდა. ცნობისმოყვარეობით შესცქეროდა შუქნიშანს, ნეტავი ვინ ანთებს და ვინ აქრობს.

უცებ კაკუნს მოესმა. ვიღაც შავსათვალის ძიას ხელში ჯოხი ეჭირა და ქვაფენილზე აკაკუნებდა. ასე კაკაკუკით მოუახლოვდა გადასასვლელს და განჩერდა. ამ დროს გარშემო არავინ იყო. ანთო წითელი შუქნიშანი, მერე მწვანე, მერე ისევ წითელი, ძია კი მოთმინებით იდგა და აკაკუნებდა, თითქოს იზხოვდა, ყურადღება მომაქცევითო. თეკო ახლოს მივიდა.

— არის აქ ვინმე? — იკითხა უცებ ძიამ.

— მე ვარ! — უპასუხა თეკომ.

— ვინ შენ? — გაეღიმა ძიას.

— თეკო ვარ!

— თეკო, გენაცვალე, მანქანები რომ განჩერდებიან, ხელი ჩამკიდე და მეორე მხარეს გადამიყვანე!

თეკო მიხვდა, რომ ძია უსინათლო იყო. ხელი ხელში ჩაავლო და, მანქანები რომ შეჩერდნენ, მეორე მხარეს გადაიყვანა.

ძიამ თავზე ხელი გადაუსვა და ჯოხის კაკუნით გზა განაგრძო.

თეკო უკან დაბრუნებას აპირებდა, მაგრამ მანქანები კვლავ ამოძრავდნენ და იძულებულნი გახდა, მოეცადა.

მოულოდნელად საიდანღაც პატარა ცუგა გამოცუნცულდა. კუდის ქიცინით დასუნა თეკოს ფეხსაცმელი და კბილები მხიარულად დაკრიჭა. თეკო ჩაცუცქდა, მოეფერა. ცუგამ

ხათიანი ენა ხელზე მოუსვა და შეპყვევა, თითქოს ეუბნებოდა, დავმეგობრდეთო.

— შე საძაგლო, სად დამეკარგე! — მოისმა ამ დროს და ლამაზი ქალბატონი დაიხარა, ცუგა ხელში აიტაცა და გზას დაადგა. თეკო უკან დაედევნა. ცუგა ყფდა, წრიალებდა, დასხტომას ლამობდა, თეკოსკენ იწვედა. თეკო გაჩერდა და შორიდან ხელი დაუქნია.

ახლად გაახსენდა დედა. მიიხედ-მოიხედა. დაფიქრდა, საიდან მოვედიო. ერთი მხარე აირჩია და იქით გაიქცა, მაგრამ ნაცნობი გზაჯვარედინი ველარსად დაინახა. მთლად აებნა გზა-კვალი.

— დედიკო! — ჩაისლუკუნა თეკომ. — დედიკო! — და ჩუმად ატირდა.

— ხომ არ დაიკარგე, შვილო! — მოეფერა მოხუცი ქალი. უმალ ხალხი მოვროვდა. გამოჩნდა ძია მილიციელიც. — რა გქვია ვოგონა? — დაყვავებით შეეკითხა.

— თეკო!

— რამდენი წლისა ხარ?

— თეკომ თითები გაფარჩნა, — ოთხისო.

— ახლა მითხარი, ვისი ხარ?

— დედიკოსი და მამიკოსი!

— ამომწურავი პასუხია, — გაელიმა ძია მილიციელს. — თუ იცი, სად ცხოვრობ?

— ჩვენს სახლში! შინ კიდევ ბებია გყავს

და ნათია!

— ნათია შენი დაიკოა?

— ნათია ჩემი თოჯინაა!

— ყველაფერი ნათელია! ყოჩაღი გოგონარ, ოღონდ ტირილი არ ვიხდებ! —

ძია მილიციელმა თეკოს ხელი ჩაჰკიდა და ყვითელ მანქანაში ჩასვა. სახურავზე წითელი შუქნიშანი უბრდღვიალებდა, — ახლა ამ მანქანით აქეთ-იქით ვავისეირნებთ, შენ კი იქნება მიხვდე, სად დაშორდი დედიკოს!

ჰო, ჰო, რა კარგი სეირნობა გამოუვიდა თეკოს! შიში სულ დაავიწყდა და თვალბეგაბრწყინებული ამყავდ იყურებოდა ფანჯრიდან.

ძია მილიციელმა მიკროფონი აიღო და რადიოთი გასძახა ქუჩას:

— მოქალაქენო! დაიკარგა პატარა ვოგონა — ოთხი წლის თეკო! მის დედას ვთხოვთ, გზაჯვარედინთან დაგველოდოს!

მალე თეკომ იცნო ის გზაჯვარედინი, სადაც უსინათლო ძიას დაეხმარა. გადასასვლელთან დედამისი იდგა და ცხვირსახოცს იქნევდა.

— დედიკო, დედა! — გასძახა თეკომ, მანქანიდან ჩამოხტა და ნამტირალეფ დედას გულში ჩაეკრა.



პანო და მურაბა

ვის ეკონა, წლისა თუ ფეხს
აიდგამდა ვანო,
აღარ უნდა უკვე, დედამ
ხელში აიუვანოს.
დაბავბავებს საქმიანად,
აღვას დიდი ჯაფა,
დასაწებობი დარჩა სახლში
მხოლოდ ფანჯრის რაფა.
ერთხელ, როცა ბებო საბანს
უკურავდა ფერადს,
ზანა კითხვას გადააჭყა და
დედა — ცომის ზელას,
ზღაპრულ უჩინძანინივით
ვანო სადღაც გაქრა,
აწრიალდნენ უფროსები,
არ იციან რა ქნან,
არის ერთი რია-რია,
ერთი ვაი-ვიში,
დაიკარგა დედისერთა
ზაწაწინა ბიჭი.
უცებ ზანა ემაწვილივით
დაინარა მკვირცხლად,
მიიხედა, მოიხედა
და რას ხედავს: ციცქნა
მაგიდის ქვეშ შეუქუქულა
მურაბიან ქილით,
სწორედ იმით, ჩაიხე რომ
გახსნა ბებომ დილით.
ტბილი წვენით მოუსვრია
შუბლიც, ცხვირიც, ლოყაც,
ზის კნუტივით და თითუნებს
გემრიელად ლოკავს.



აიორაი შთაქაური

რა ხეა?

ქალღღრღე ფერად ფანქრებით
ხე რომ დანატა ლალიმ, —
იმ ხეს მოასხა ჭანჭურბი,
ჭერამი, ვაშლი, მსხალი,
ლიმონი, ზღმარტლი, ღოღნოშო,
მახველი, კომში, ბალი,
ტეშალი, თხილი და შუინდი —
წითელი როგორც ალი...
— არ მახსოვს, ერთ ხეს ამდენი
სხვადასხვა ხილი ეხსას,
ეს რა ხე არის, ვერ მეტყვი? —
ლალიკოს ჰკითხა ესმამ.
— ვერ ვეტყვი! — ლალი ემძაკურ
თვალეებს დიმილით კვესავს, —
შენ ხილი ჭამე, რა ხეა,
რასა კითხულობ, ესმა?!

მე პირველი გოგო ვარ

108701



მე პირველი გოგო ვარ,
 ვარ თბილისში შობილი.
 უამრავი ძმა შეავს და
 უამრავი დობილი.
 განა მართლა ციცქნა ვარ,
 განა ისე პატარა, —
 ბაღში უკვე ვაჩვენებ
 ერთმანეთის ვატანას.
 სათამაშოც ბუერი ვვაქვს
 და ხატულა წიგნებიც,
 გავიზრდებით და დიდი
 მეგობრები ვიქნებით.



ლუზა სანიკიძე

„უემოდგომა ვაგვატანეთ“

დასუნძლულა ბაღში ხენი,
 დატვირთულა კუნწულები,
 შეჭხარიან მწიფე ნაყოფს
 ქალაქელი ცუნცულები.
 მხით დაბრუნულ წითელ ვაძლებს,
 ჩავეითლებულ მსხალს თუ ქლიაუს,
 პატარების დასაკრუფად
 ტოტი დაბლა დაუსრიათ.
 კრეფენ, ჭამენ ხილს დაშაქრულს,
 დობე-ჟორეს ედებიან,
 მთელი ბაღი მოიბრინეს
 ადგილზე ვერ ჩერდებიან.
 საქანელა ჩამოაბეს,
 წაზა ევარის: „გამაქანეთ“,
 „გაინარეთ, — ამბობს პაპა,
 როგორც მე თქვენ გამანარეთ“.
 მათი წასვლის ქამმაც დაჰკრა,
 სკოლა უხმობს ცუგრემელებს,
 არ ეთმობათ ბებო, ბაბუ,
 ორდობე და ცელქი ლელე.
 ატედა ისევე უაძიფუცი,
 ბებოს თვალზე ცრემლი უკრთის,
 ლელა ეელზე მოხვევია
 და მადლობას კოცნით უხდის.
 ბესიკმა თქვა: ეს საფხული
 ო, რა კარგად ვავატარეთ,
 ახლა, ბაბუ, მივიღვართ და
 შემოდგომაც ვავატანეთ.



საქ. სსრ კ. მარქსის
 სახ. სახ. რეპუბ.
 ბიბლიოთეკა



არნოლდ გავაჰკორი

ცხოველთა თამაშები

ცხოველებს ძალიან უყვართ თამაში— ზოგი მარტო თამაშობს, ზოგი ერთად. აი, მაგალითად, როგორ ერთობიან პენსილვანიის მუნხარებში მცხოვრები ციყვები. თამაშების სეზონი მათთვის გვიან შემოდგომაზე იწყება, როცა საკვების ზამთრის მარაგი უკვე შეგროვილი აქვთ. ფოთოლცვენის უამს, დამდამობით, როცა ძალუმაღ ანათებს მთვარე, მფრინავი ციყვები ჭერ ხიდან ხეზე იწყებენ პლანირებას, შემდეგ კი შემოდგომის ფოთლების მსგავსად შიშველი ტოტებიდან ცვივიან. ეს ნამდვილი საჰაერო კარნავალია...

მდინარის წავებს ძალიან უყვართ სრიალი. პირველი ყინვების დადგომისთანავე მდინარის ნაპირებზე მოუხშირებენ ხოლმე გადმოსვლას, პატარა ბავშვებივით გაქანდებიან და ლამაზად, ელეგანტურად გასრიალდებიან ახალ ყინულზე. ზოგჯერ თოვლის ნამქერს წვერზე მოექცევიან და ისეთი სისწრაფით ჩამოსრიალდებიან, რომ კორიანტელს აუენებენ. მერე რომ დაგანახათ, რა ბედნიერი სახეები აქვთ ამ დროს! ზაფხუ-

ლობით ისინი მდინარეთა და ნაკადულთათიხიან სანაპიროებს სველი მუცლის ხშირი შეხებით სარკესავით აპრიალებენ და ზედ დასრიალებენ. ზოგჯერ რამდენიმე მეტრი სიმაღლის საზაფხულო სასრილოებს აწყობენ, გულდასმით წმენდენ მათ ქვების, ხავსის, ფესვებისა და სხვა წინაღობებისაგან.

მხიარული თამაშები აქვთ დათვის ბელებს. ზოგჯერ დედა დათვიც მათთან ერთად ერთობა — ზურგზე გადაკოტირალდება და თათებს ჰაერში იქნევს. ბელები მიუჩოჩდებიან, ხან ერთ თათზე ჰკბენენ ვითომ, ხან მეორეზე, ხან კისერზე. ზოგჯერ ერთი ბელი ხის კუნძზე შებობდება, სხვები ცდილობენ გადმოაგდონ, დავარდნისას ისინი ერთად კოტირალბენ, ერთმანეთს დასდევენ და ახელებენ.

მაჩვენებს ბავშვებივით უყვართ ბალახზე კოტირალი, მაღაყი, ბაყაყივით ხტუნვა. ისინი მზის ჩასვლის წინ გამოდიან სოროდან და საკვების მოსაპოვებლად მიემართებიან. მაგრამ თუ გზაზე კუნძი ან წაქცეული ხე შეხვდათ, თამაშის შესაძლებლობას ხელიდან არ გაუშვებენ. ერთი კუნძულზე ან მორზე აძვრება, და-



მხატვარი გიორგი როინიშვილი

ნარჩენები ცდილობენ, ჩამოაგდონ იქიდან „მეფე“. ასეთი თამაშისას „მეფური ღირსება“ ხელიდან ხელში გადადის.

ამერიკული მაჩვენებელი ასრულებენ ბარბაცა ცეკვებს, რომლებიც ერთობ წაგავს ტვისტს. მაჩვი იოლად ამყარებს მეგობრულ ურთიერთობებს, იგი „ნებას აძლევს“ ტურა-მელას, ჩასახლდნენ მის რამდენიმე მეტრის სიგრძის სოროში და მის გათხრილ „გვირაბში“ თავები და ათასგვარი ჭიალუა დაიჭირონ.

მოთამაშე ცხოველები ძალიან თავშეკავებულები არიან — მათი აზარტი არასოდეს არ გადადის ნამდვილ ჩხუბში.

ჭიქო

საპარტიველოს ალკ მკ-ისა და ვ. ი. ლენინის სახელმწიფო პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბავშვო ჟურნალი შემცირებულია.

გამოცემის 1904 წლიდან საქ. კ. ცკ-ის გამოცემულია.

შთავარი რედაქტორი
ვესპერ ნიჟარაძე

სარედაქციო კოლეჯია: მუსარდ აბო-ბაძე, მანანა აბოიძე, ლაბარა ბაბუა, სოსო გომბაშიძე, მერი ღვინია-შვილი, სოლომონ ღვინიაშვილი, ლილა შარაძე, ბუა ლოსაბერიძე, მამალა მგვლიშვილი, ჯურნალ ნაღორაძე, გიორგი როინიშვილი (სამხატვრო რედაქტორი) თეატრ ნაღორაძე (პ.მ. მღვიანი), გივი ძვალაძე, გივი ზიზინაძე.


ტექნიკური რედაქტორი
ნინო წერეთელი

მისამართი: რედაქციის, გამოცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის 14. ტელ: ში. რედაქტორის 93-41-30, 93-98-15; პ.მ. მღვიანის 93-10-32, 93-98-18; სამხ. რედაქტორის—93-98-18; განყოფილებების 93-98-19.

გადაეცა ასაწეობად 12.07.88 წ., ხელმოწერილია დასაბუჯდად 20.08.88 წ. კალენდლის ზომ 60x90, ფიხ. ნაბ. ფურც. 2,5. ტირაჟი 168.000, შეკვეთა №1809

ვლახ ნახატი ნანა ჭურჭლუბისი

«Дила» («Утро») еженесячный журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Респубლიканского Совета Всесоюзной пионерской организации им В. И. Ленина для младшеклассников, на грузинском языке.
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии.
Главный редактор Энвер Ниџарадзе (тел. 93-41-30).
Адрес редакции и издательства: 380096, г. Тбилиси ул. Ленина, 14.
Объем 2,5 печатных листа, тираж 168.000. Заказ № 1809



გამოსან

შოთა აშირანაშვილი
მას ეუფლებური კსძის, მავნად არაფერს აძობს, შედამ თან ახლავს პატრონს, რა არის, ჩემო ვარკო?

გიორგი წერეთელი

გვასუნა

იქ

მაგარი აქვს მართლაც მხარი, ტვირთი ზიდა თვესუარი, ისვენებდა, — როცა ჭქონდა კლესს სადილი და სძმხარი, მისგან არის აგებული იქ ტაძარი, აქ — საუდრი, ხსენელი სამჯერ ვითხარი, ახლა შენ თქვი, რაა?



- — შავი
- * — შიშველი
- — წარმოების ფერი
- || — მწიფი
- + — მწვანე
- ∂ — ყავისფერი



ღორმუცელა ლეომ გემრიელად ისადილა და იმის მაგივრად, რომ სხვა ბავშვებზევით ეზოში გაქცეულიყო, მიწვა, მიიძინა და სიზმარი ნახა.

თუ გაინტერესებთ ზარმაცი ლეოს სიზმარი, გააფერადეთ უჯრები მითითებულ ფერებად.